ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №90

2016 წლის 29 ივლისი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №216 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 11 ივლისის N01/6146 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №216 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამაში“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის გამგეობის მუნიციპალიტეტის

პროგრამა

2016 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. **პროგრამის სახელწოდება:**

ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა

2. **პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

" 1 იანვარი " 2016 წ.
" 31 დეკემბერი " 2016 წ.

3. **პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი**

16 880 (თექვსმეტიათას რვაას ოთხმოცი) ლარი

4. **პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ა) ძირითადი _ ადგილობრივი ბიუჯეტი	16880	ლარი
ბ) დამატებითი	0	ლარი

5. პროგრამის განხოციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6 პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

პროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა უკდავყოფის და სადღესასწაულო დღეების უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას. პროგრამას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არეგულირებს 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და ასევე 1995 წლის საქართველოს კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ მუხლი 14, პუნქტი „გ“, მუხლი 15, პუნქტი „გ“, მუხლი 16, პუნქტი „გ“, მუხლი 17, პუნქტი „ბ“.

საქართველოს კანონის “სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ 1995 წლის კანონის“ 21 მუხლის თანახმად გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახებზე გამოიყოფა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 250 ლარის ოდენობით დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ომის ინვალიდების, ომში დაღუპულთა ოჯახების, ომების მონაწილეების, მათთან გათანაბრებული პირების და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური დაცვა. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა	პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ბენეფიციარზე გაცემის მაჩვენებელი
		ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2016 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	უკვდავყოფის და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება					X			X	X			
2	ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა		X			X			X	X			
3	გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	სულ
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	16880			16880
	დამატებითი					0
	სულ		16880	0	0	16880

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
	2016 წელი				
	სოციალური უზრუნველყოფა				
1	II მსოფლიო ომის მონაწილეებზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	7	500	3500
2	II მსოფლიო ომში დაღუპულ ოჯახის წევრ მეუღლეზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	4	200	800
3	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა და ამავე ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე 27 სექტემბერთან დაკავშირებით მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	20	300	6000
4	2008წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	10	300	3000
5	ავღანეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მეომრების ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	3	300	900
6	გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	7	250	1750
7	მემორიალის შემკობა: 9 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი	გვირგვინი	3	100	300
		ვარდი	90	2,5	225
8	აგვისტოს ომში დაღუპულთა საფლავების შემკობა	ვარდი	150	2,5	375

9	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალთან მუდმივი ცეცხლისათვი ბუნებრივი აირის გადასახადი	კუბ. მ	38	0,8	30,4
სულ სოციალური უზრუნველყოფა					16880

შენიშვნა: მე-7 პუნქტში მითითებული მემორიალის შემკობისათვის საჭიროა 3 ცალი გვირგვინი და 240 ცალი ვარდი

10. პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. სოციალური მომსახურეობის სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის მიერ მოწოდებული ინფორმაცია აღნიშნულ ბენეფიციართა რაოდენობისა და შესაბამისი კოდის შესახებ.
2. საქართველოს კანონის "სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფის შესახებ" მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ 1995 წლის კანონის" 21 მუხლის თანახმად გარდაცვლილ ვეტერანთა დაკრძალვის თანხის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირიდან შემოსული განცხადებები

11. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ყვავილების შესყიდვა	I კვარტალი 2016 წელი	გამარტივებული შესყიდვა	900	

"დამატებითი ინფორმაცია:

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

1. სადღესასწაულო დღისადმი ერთჯერადი დახმარების გაცემის შემთხვევაში პროგრამის მე-10 პუნქტისა და შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადებული სიის საფუძველზე გამგებლის ბრძანების თანახმად იგზავნება საფინანსო სამსახურში დაფინანსების მიზნით.

2. ომის ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამოსილი პირი მიმართავს მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით პროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებელის ან და გამგებლის მოადგილის რეზოლუციით შედის სათანადო სამსახურში, სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს გამგებელს თხოვნით დახმარების გაცემის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გამგებლის ბრძანება თანდართული დოკუმენტაციებთან ერთად იგზავნება საფინანსო სამსახურში დაფინანსების მიზნით.

ბ) ომის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გასაცემად წარმოდგენილი უნდა იყოს შედეგი დოკუმენტაცია:

1. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
3. გარდაცვალების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
4. ვეტერანის მოწმობის ასლი.
5. შესაბამისი ქალაქის, თემის, სოფლის რწმუნებულის რწმუნება უფლებამოსილი წარმომადგენლის თაობაზე.